ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 196

“19” მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 18-26-ის მიმდებარედ არსებული 4972 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.15.010.045) 48 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ჩეხური ლუდის სახლი 1-ისთვის“ (საიდენტიფიკაციო № 405428194) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.15.010.045) 48 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩეხური ლუდის სახლი 1“-ისთვის (ს/ნ 405428194) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 3 მაისის № 23.614.688 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 18-26-ის მიმდებარედ არსებული 4972 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.10.15.010.045) 48 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ჩეხური ლუდის სახლი 1-ისთვის“ (საიდენტიფიკაციო № 405428194) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 11520 (თერთმეტი ათას ხუთას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე